ფსიქოლოგიის დეპარტამენტი



დეპარტამენტის ხელმძღვანელი
პროფესორი რამაზ საყვარელიძე

ასისტენტ - პროფესორი რუსუდან მხეიძე

ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

მარცხნიდან მარჯვნივ: ქეთევან მოსაშვილი - მოწვეული პედაგოგი, რუსუდან მხეიძე - ასისტენტ პროფესორი, რამაზ საყვარელიძე - პროფესორი, ეთერ ტაბატაძე - ლაბორანტი.

1996 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიხსნა ფსიქოთერაპიის და ფსიქოსომატური მედიცინის ფაკულტეტი (დეკანი - პროფ. გ.ქავთარაძე). 1999 წელს მის ფარგლებში დაარსდა ზოგადი და კლინიკური ფსიქოლოგიის კათედრა (გამგე - დოცენტი რ.საყვარელიძე). 2002 წლიდან ფაკულტეტი უშვებდა, საშუალოდ, 20 ექიმ-ფსიქოთერაპევტს, რომლებიც იღებდნენ კლასიკურ სამედიცინო და, იმავდროულად, ფსიქოლოგიურ და ფსიქოთერაპიულ განათლებას.

2006 წელს, როდესაც თსსუ-ში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე შეიცვალა სამედიცინო კადრების მომზადების კონცეფცია, ფსიქოთერაპევტის მომზადება გადავიდა რეზიდენტურის ეტაპზე. დიპლომამდელ ეტაპზე კი გადაწყდა ყველა სპეციალობის სტუდენტებთან ფსიქოლოგიის კურსის სწავლება. გადაწყდა, აგრეთვე, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის სწავლება დოქტორანტებისთვისაც. ამ კურსების მომზადება დაევალა კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებას, რომელსაც მოგვიანებით დაერქვა ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.

დეპარტამენტის ხელმძღვანელია პროფესორი რამაზ საყვარელიძე. ასისტენტ-პროფესორია რუსუდან მხეიძე. ლაბორანტია ეთერ ტაბატაძე. მოწვეული მასწავლებლები არიან ქეთევან მოსაშვილი, ეთერ ტაბატაძე, ნინო ნიშნიანიძე, სოფიო ჯოჯუა, ქეთევან ბაქანიძე და ლია ნატრიაშვილი.

ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

ამჟამად ფსიქოლოგიის დეპარტამენტის კურირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის (ფარმაციის ფაკულტეტის გარდა) სტუდენტებს ეკითხებათ "ფსიქოლოგიის საფუძვლები" (I-II კურსზე) და "კლინიკური ფსიქოლოგია" (IV კურსზე). მიმართულება პასუხისმგებელია დოქტორანტებისთვის უმაღლეს სკოლაში სწავლების ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საფუძვლების გაცნობაზე, აგრეთვე - რეზიდენტების მომზადებაზე ფსიქოთერაპიასა და კლინიკურ ფსიქოლოგიაში.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ფარგლებში ტარდება როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული ხასიათის სამეცნიერო სამუშაო ფუნდამენტური, გამოყენებითი და პრაქტიკული ფსიქოლოგიის სფეროებში. კვლევები მოიცავს ფსიქოლოგიის ისეთ დარგებს, როგორიცაა განწყობის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია, ნეიროფსიქოლოგია, ფსიქოთერაპია. მიმდინარეობს ფსიქოლოგიური სახელმძღვანელოების თარგმნა, რეცენზირება-რედაქტირება.

2007 წლიდან მუშავდება თემა "თავისუფლების პრობლემა: დასავლური მეცნიერების, აღმოსავლური რელიგიების და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პარადიგმები" (2012 წლიდან ეს თემა გრძელდება სტრესის პრობლემაზე შექმნილ სტატიების ციკლში). წერილების სერია კლინიკური ფსიქოლოგიის და ფსიქოთერაპიის ამ მნიშვნელოვან პრობლემებზე გამოქვეყნდა საქართველოს ფსიქოლოგიურ მაცნესა თუ ერევნის საერთაშორისო კონფერენციის მასალების სხვადასხვა კრებულებში. ამ თეორიული კვლევის ფარგლებში მუშავდება ფსიქოლოგიური აუტოტრენინგის სისტემა აღმოსავლური (იოგა, ციგუნი) თუ ევროპული სისტემების (კუეს, შულცის, იაკობსონის სისტემები) და განწყობის თეორიის მიხედვით აგებული სავარჯიშოების სინთეზით. 2006 წელს თსსუ-ს დერმატო-ვენეროლოგიურ მიმართულებასთან ერთად შესრულდა ექსპერიმენტული კვლევა ეტაპობრივი დერმატიტით დაავადებულ პაციენტთა ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხის დასადგენად, განსაზღვრული იქნა DLQI (დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხობრივი ინდექსი) ქართულ პოპულაციაში და დადგენილი იქნა მისი ნორმები. მიმდინარეობს კვლევა მარჯვენა ჰემისფეროს მეტყველებითი ფუნქციების დასადგენად, შედეგები მზადაა დასაბეჭდად (გამოქვეყნდება საქართველოს ფსიქოლოგიურ მაცნეში).

2009 წელს გამოიცა რიჩარდ გერიგისა და ფილიპ ზიმბარდოს ფუნდამენტური სახელმძღვანელო "ფსიქოლოგია და ცხოვრება" (CSS–თსუ-ს გამომცემლობა, 2009 წ.), რომლის ერთერთი სამეცნიერო რეცენზენტია რამაზ საყვარელიძე, ხოლო წიგნის რამდენიმე თავის თარგმანი ეკუთვნის რუსუდან მხეიძეს.

2013-2015 წლებში განხორციელდა რამოდენიმე კვლევა ბავშვთა ნევროლოგიურ კლინიკასთან ერთად. მომზადდა რამოდენიმე სტატია (რ.მხეიძე,მ.ხუნდაძე) მომზადდა ოთხი საკითხავი მასალა (რიდერი) კლინიკურ ფსიქოლოგიაში,ნეიროფსიქოლოგიაში, ჯანმრთელობის ფსიქოლოგიასა და ფსიქოდიაგნოსტიკაში. მოცემულ მომენტში მზადდება საკითხავი მასალა გეროფსიქოლოგიაში. 2022 წლისთვის დაგეგმილია კლინიკური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოს გამოცემა.

2019 წლიდან თსსუ-ში ფსიქოლოგიის დეპარტამენტთან ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური განწყობის კვლევის და კორექციის პროგრამა (ცენტრი). პროგრამის მიზანია მუშაობა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის საყრდენ კონცეფციაზე - დ.უზნაძის განწყობის თეორიაზე. გამიზნულია ძირითადი მოვლენის - განწყობის შემდგომი კვლევა და მორგება ფსიქოთერაპიის (განწყობის კორექციის) ამოცანების გადაჭრაზე.
პროგრამაში ჩართულ ჯგუფში არის 17 თანამშრომელი (2 ექიმი, 1 ბიოლოგი, 14 ფსიქოლოგი). ჯგუფის ხელმძღვანელია რ.საყვარელიძე.

განწყობის კვლევის და კორექციის ჯგუფმა 2019 წელს გამოსცა 5 შრომა:

1. დ.უზნაძე. „ჩანაწერების რვეული“;
2. ი.იმედაძე „განწყობის ონტოლოგიური სტატუსის პრობლემა“,
3. მ.მაღრაძე „განწყობის ფსიქოლოგიის რამდენიმე პრობლემური საკითხი მისი განვითარების დღევანდელ ეტაპზე“,
4. რ.საყვარელიძე „ემოციის და სტრესის მართვა (განწყობის თეორია)“,
5. ფსიქოლოგიური განწყობის კვლევის და კორექციის ცენტრის შრომები, ტ. I.

2020 წელს ჯგუფმა გამოსცა 4 შრომა:
1. ი.იმედაძე, მ.მაღრაძე, ნ. ბარამიძე. „შალვა ჩხარტიშვილი. სერია: განწყობის ფსიქოლოგიის კლასიკოსები“.
2. ი.იმედაძე. დისკუსიები განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის გარშემო
3. თ. ბჟალავა, ნ. ცხვედაძე. პიროვნების განწყობის საკვლევი კითხვარის კონსტრუირების სტანდარტები
4. ფსიქოლოგიური განწყობის კვლევის და კორექციის ცენტრის შრომები, ტ.2. 2020 წ.

2021 წელს ჯგუფმა გამოსცა 4 შრომა:
1. კოვიდ 19 და ფსიქოლოგია.
2. „იოსებ ბჟალავა. სერია: განწყობის ფსიქოლოგიის კლასიკოსები“.
3. მ.მაღრაძე. სტრესის ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი განწყობის თეორიის თვალსაზრისით
4. ფსიქოლოგიური განწყობის კვლევის და კორექციის ცენტრის შრომები, ტ.3 2021 წ.
ხსენებული პუბლიკაციების საერთო მოცულობაა 1384 გვერდი.
შეიქმნა საიტი http://psychologyofset.ge/psychologyofset/site/main/index.php